6534/3-81/23 2 06092023

6534/3-81/23
06-09-2023

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

ბატონ ვახტანგ გომელაურს,

ბატონო ვახტანგ,

შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 7 აგვისტოს, მოგმართეთ დეპუტატის კითხვით, რომელზე პასუხიც დღემდე არ მიმიღია. გამომდინარე აქედან, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, რომელზეც, რეგლამენტის მიხედვით, დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

1) 2023 წლის 3 აგვისტოს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შოვში განვითარებულ მოვლენებთან და მასზე სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების და თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებულ რეაგირებასთან დაკავშირებით, დაიწყო თუ არა გამოძიება შესაძლო სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით?

2) დაიწყო თუ არა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის რომელი სხვა მუხლის საფუძველზე?

3) დადებითი პასუხის შემთხვევაში, დანიშნულია თუ არა ექსპერტიზები და მოხდა თუ არა ღვარცოფის გამომწვევ ადგილზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი